№ 61 თბილისის მოამგე უოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 2 მან. ოთხშაბათი, 17 მარტი 1920 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მან., ცალკე ნომერი უველგან 2 მან. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვ. 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1-82.

სახელმწიფო თეატრი

ხ. ი. ეკლახიშვილის ბენეფისი

ოთხშაბათს, 17 მარტს, სტაროსტინის ავადმყოფობის გამო „ლაკმეს“ მაგიერად ვოლ. ლგვიცკაიას, ალჩევსკაიას, ივსიანიკოვას, ზალიპსკის და სხვების მონაწილეობით

ფაუსტი და ვალპურგიის ღამე

ხუთშაბათს, 18 მარტს სარაჯიშვილის ბენეფისი „ჯუგენოტები“. პარასკევს, 19 მარტს 6 გასტროლი ნ. პ. კოშიცის 1. პაიაცები და 2. კონცერტი. 329

დუშეთის მაზრის ერობა

საჭიროებს ორ რაიონის აგრონომს და სამ ინსტრუქტორს:

მელვინე-მევენახეობისას, მეხილ-მებაღე-მებოსტნეობისა და მესამე მესაქონლე-მერძეობისას. აგრონომებს ჯამაგირი 5500 და საგზაო 1500 მან. ინსტრუქტორებს 4000 მან. და საგზაო 1000 მან. თხოვნები უნდა გაიგზავნოს ქ. დუშეთში, დუშეთის ერობის გამგეობაში. საჭიროა დაწვრილებით აღწერა მათი მოქმედების და განათლების სამეურნეო დარგში მიღების შესახებ. 322 3-2

ჩსათუშრის შაჟი ქვის სააქციო

საზოგადოების გამგეობა ამით აცნობებს თავის აქციონერებს, რომ კვირას მარტის 21-ს, დილის თერთმეტ საათზე, ჰიათურაში, საკრებულოს დარბაზში, გაიხსნება გაგრძელება მათი წლიური საზოგადო კრებისა, რომლის პირველი სხდომა დანიშნული და შესდგა ამავე მარტის შვიდ რიცხვს. 325

საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა ეკონ. საზოგადოების

ზედამხედველი კომიტეტი აცხადებს, რომ 18 მარტს დილის 10 საათზე საზოგადოების ბინაზე დანიშნულია საზოგადოების წევრების რწმუნებულთა საერთო კრება. 323 2-1

ოფიციალური განყოფილება

საზოგადო საგაჭრო ტარიფი და ახალი ნიხრი

დადგენილი შემოზიდულ საქონლისა.

სტატია	მუხლი	პუნქტი	ძველი ნიხრი	ახალი ნიხრი
24	1	—	15.00	400.00
	2	ა	15.00	150.00
		ბ	5.00	50.00
	3	—	9.50	
25	1	—	1.35	უბ.
	2	—	3.00	„
26	1	—	15.00	15.00
	2	—	45.00	45.00
27	1	—	25.00	400.00
	2	—	30.00	1000.00
28	1	ა	9.00	40.00
		ბ	15.00	100.00
		ა	12.00	120.00
	2	ბ	25.00	250.00
29	1	—	3.50	40.00
	2		7.20	80.00
30	გ ა უ ქ მ ე ბ უ ლ ი ა			
31	1	—	2.00	30.00
	2	—	5.00	50.00
32	—	—	2.30	5.00
33	1	—	0.30	უბ.
	2	—	0.15	„
34	—	—	1.50	„
35	—	—	9.00	„
36	—	—	0.75	„
37	1	ა	6.00	„
		ბ	0.27	„
	2	—	7.50	75.00
	3	—	2.70	უბ.
	4	—	0.60¾	„

1920 წ. თებერვლის 24-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. ალ. ლომთათიძე.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შინდობილების ინჟენერისა.

№ № რიგზე.	დანაწილებობა	რიცხ. თანამდებ.	ერის თვალებ.	ყველას თვალებ.	ყველას 1920 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-დე.
1	საგანგებო შინდობილების ინჟენერი . . .	1	4000	4000	20000
2	ტეხნიკოს . .	1	2000	2000	10000
3	საკანცელარიო, სატეხნიკო-სახაზავ და სამგზავრო ხარჯისათვის . .			1000	5000
	სულ .	—	—	—	35000

1920 წ. მარტის 5.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. ალ. ლომთათიძე.

მთავრობის რესპუბლიკის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

არა ოფიციალური განყოფილება

ბათუმის გარშემო

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებისაგან.

საქართველოს საგარეო საქ. სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება აქვეყნებს ყველა იმ ცნობებს, რომელიც სამინისტრომ მიიღო ბათომის შესახებ:

1.

მის აღმატებულებას ე. გეგეჭკორს, საგარეო საქმეთა მინისტრს. ტფილისი, 29 თებერვალი 1920 წ. № 52.

თქვენო აღმატებულებავ, მის უდიდებულესობის სტატს-სეკრეტარმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაუწყა, რომ უმაღლეს საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ ბათომის ოკუპაცია დაევალება გარნიზონს, შედგენილს, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის ჯარის ნაწილებისაგან.

მიღეთ და სხვა. ო. ჟორდროში.

2

იტალიის სამხედრო მისია ამიერკავკასიაში.

ტფილისი, 5 მარტი 1920 წ. № 2434.

მის აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს. ტფილისი.

თქვენო აღმატებულებავ, მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი დეპეშა, დღეს კონსტანტინეპოლიდან მიღებული საქართველოს წარმომადგენლისაგან იტალიის უმაღლეს კომისარის შუამავლობით:

გეგეჭკორს, საგარეო საქმეთა მინისტრს.

მირველ მარტს ვნახე მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი კომისარი. გადაწყვეტილია დაიჭიროს ბათომი სამის ბათალიონით: საფრანგეთის, ინგლისის და იტალიისა. ქალაქი და (გამოტოვებულია) იქნება ეროვნებათა ლიგის ზედამხედველობაში. სწარმოებს მუშაობა ოსმალეთის საზღვრების საკითხის წინასწარ გადაწყვეტის შესახებ. ბათომის შესახებ უკანასკნელი დასკვნა მოხდება იმავე დროს, როცა რუსეთის საკითხი გადაწყდება. მიიღეთ და სხვა...

გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი მიქელაძე.

3.

იტალიის სამხედრო მისია. № 2449. ტფილისი, 9 მარტი 1920 წ. მის აღმატებულებას გეგეჭკორს, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს.

ბ-ნო მინისტრო, დამატებად და დასადასტურებლად ამ თვის შვიდს ჩვენის საუბრისა, მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ეს არის ეხლა მიღებე იტალიის სამეფო მთავრობის დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ:

„ლონდონის კონფერენციაზე გადაწყდა შეიქმნას პორტო-ფრანკო ბათომში მცირე ტერიტორიალურ ზონით, ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ. გარანტიის მიზნით საფრანგეთი, იტალია და ინგლისი გაგზავნიან ქვეითა ჯარის თითო ბათალიონს“.

ამასთანავე ვისწრაფვი გაცნობოთ, რომ მე რადიოთი გადავეცი ჩემს მთავრობას თქვენი ნოტათა შინაარსი, ამა თვის 6 თარიღით №№ 1856 და 1862.

მიიღეთ და სხვა...

მისიის უფროსი

პოლკოვნიკი გაბბა.

4.

საფრანგეთის სამხედრო მისია კავკასიაში. ტფილისი, 16 მარტი, 1920 წ.

თანახმად უმაღლეს საბჭოს თებერვლის 24-ს დადგენილებისა ბათუმის პორტი გამოცხადებულია თავისუფალ პორტად, ქალაქი და მისი გარშემო მცირე ზონა შეადგენს პატარა სახელმწიფოს ერთა ლიგის მფარველობას ქვეშ და დაჭერილი იქნება ინტერნაციონალურ რაზმით, რომელიც შესდგება სამი ბათალიონისაგან: ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიისა.

საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი კავკასიაში დე ნონანკური.

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

მოსკოვის ცნობები.

ხარკოვი, 13 მარ. დონის ოლქის მშრომელ არმიის მოქმედების ანგარიში 6—დან. 7 მარტამდე ს. რტიჩევო, სერდოვსკ, ბალაშოვ, ტურკისა და შჩუკლინოს სადგურების ხაზზე გაწმენდილია 149,000 და კირკით გასწორებული 450 კვადრატული საჟენი გზა.

კოლოგდა 12 მარ. არხანგელსკში ყოფილ თეთრთა შორის დიდი სააგიტაციო მუშაობა სწარმოებს.

ხარკოვი. 13 მარ. იხსნება კურსები მუშა მეზღვაურთა ინსტრუქტორების მოსამზადებლად. აიღეთ მაგალითი.

ვიატკა, 13 მარ. უზარმაზარმა მაზრამ სავსებით შესძლო პურის განაწილება.

მოსკოვი. მოსკოვის გაზეთებში მოთავსებულია მემარცხენე ჯგუფის განცხადება, რომელიც მიმართულია მენშევიკურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტისადმი. განცხადებას ხელს აწერენ მენშევიკთა პარტიის ძველი აქტიური, გამოჩენილი პირები, მათ შორის ცენტრალურ კომიტეტის ყოფილი წევრები: იახონტოვი, ტრიფონოვი, მოსკოვის კომიტეტის ყოფილი წევრები დუბროვინსკისა, ვინსკი, კრანსნიკოვი და მთელი რიგი პარტიულ მუშაკებისა. ყველა ხელის მოწერი აცხადებს პარტიიდან გამოსვლის შესახებ.

ლიონი. 13 მარტს, ბერლინში მოწვეული სამხედრო გადატრიალება მოხდა. ტკინის დივიზია, რომელიც ბერლინიდან 20 ვერსზე იდგა სატახტო ქალაქში შევიდა. დამის განმავლობაში ჯარების ხარდაჯებს მოლაპარაკება ქონდათ შვიდემანის მთავრობასთან, მაგრამ მინისტრთა საბჭომ დაადგინა ყველა მათი მოთხოვნილება უარყო. ჯარებმა დაიკავეს მთავრობის შენობები და გაზ. „ფორვერტსის“ რედაქცია. გამოუშვეს პროკლამაცია მთავრობის ჩამოგდებისა, რეიხსტაგისა და დამფუძნებელი კრების გაშვებისა, ძალა უფლების კაპპისა და ფონ ლიუტვიცის ხელში გადასვლის შესახებ. კაპპიმ ამირბარ ფონ ტირპიცთან ერთად დაარსა სამშობლოს პარტია. მან ეხლა სახელმწიფოს კანცლერისა და პრუსიის პრემიერის სახელწოდება მიიღო. გენერალი ფონ ლიუტვიცი ჯარების მთავარსარდალია. ებერტმა და ნოსკემ თავისი მთავრობის სახელით გამოუშვეს მანიფესტი, რომელშიც ისინი მშრომელთ წინადადებას აძლევენ, მათ ამ გადატრიალებას საყოველთაო გაფიცვით უპასუხონ. აქამდის არავითარი ცნობა არ მიგვიღია არეულობის შესახებ, და არვიცით ეს მოძრაობა გადავიდა, თუ არა პროვინციაში.

ბერლინი 14 მარ. ბაუერის მთავრობა პრეზიდენტსა და რეიხსკანცლერთან ერთად ბერლინიდან დრეზდენში გადავიდა. ბერლინის მცხოვრებნი ამ გადატრიალებას სრული სიმშვიდით შეხვდენ. ქუჩის ცხოვრება ნორმალურია, ქარხნებში მუშაობა გრძელდება. ახალმა მთავრობამ გამოსცა პროკლამაცია, სადაც იგი თავის თავს „თავისუფლებისა და წესრიგის“ პარტიას უწოდებს და პირობას იძლევა ვერსალის საზავო ხელშეკრულობის ცხოვრებაში გატარების შესახებ. ახალი მთავრობა კატეგორიულად უარყოფს მონარქიის აღდგენისა, ან ერთ პიროვნულ დიქტატორის დამყარების სურვილს. ნახევრად ოფიციალურ განცხადებაში ახალი მთავრობა უცხადა მშრომელს პირდება, რომ იგი უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში. ახალი მთავრობა აცხადებს: არსებული რესპუბლიკანურ კონსტიტუციის თანახმად მოხდება სახალხო წარმომადგენლობის ახალი არჩევნები. უმეტესობის სოციალისტების პარტიამ და ყველა პარტიის პრეზიდიუმის წევრებმა, რომელნიც ძველ კოალიციურ მთავრობაში შედიოდენ, ხალხს პროკლამაციით მიმართეს. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ როგორც ბერლინის მცხოვრებლებში აგრეთვე ჯარებში სრული მშვიდობიანობა არსებობს. ცნობები მოვიდა მაგდებურში დაწყებულ საყოველთაო გაფიცვის შესახებ.

ბერლინი. 14 მარ. დოქტორმა კაპმა საუბარში განაცხადა, ახალმა მთავრობამ იცის, რომ მუშების უმეტესობა შესაძლებელია ოპოზიციაში ჩაგვიდგესო. მთავრობამ განაცხადა, რომ იგი სათავეშივე სასტიკათ ჩაახრობს მუშათა ყოველგვარ გამოსვლებს და თუ მუშებმა ძალას მიმართეს, მაშინ მათ წაართვევენ იმ უფლებასაც, რომელიც ამ ცოტა ხანში მიიღეს.

ბერლინი 14 მარ. ბერლინის ყველა სახლებზე შავ-თეთრ წითელი დროშები ფრიალებს.

ბერლინი 14 მარ. ახალი მთავრობის სამყოფი ადგილი მაუთულის ხლართით არის შემოვლებული.

კოპენჰაგენი. 14 მარტი. ჰამბურგიდან ცნობები მოვიდა გერმანიის მდგომარეობის შესახებ. ვეიმარში მუშები შეიარაღდენ და დაიკავეს მთავრობის დაწესებულებები, მაგრამ დიდხანს ვერ შეინარჩუნეს. ბრაუნშვეიგში, კუკსჰაგენში ჯარს ჯერ კიდევ არ გამოუცხადებია ახალი მთავრობისადმი დამოკიდებულება. შტეტინში საერთო გაფიცვები გამოცხადდა. ვესტფალიაში ძალა-უფლება სამხედრო პირთა ხელშია. რურის ოლქში სამთო

მუშების უმეტესობა გაფიცულია. ვილგელმშტრასეში ჯარი ახალი მთავრობის მხარეზეა. ყველგან მცირე შეტაკება ხდება.

საბჭოთა რუსეთში.

ტროიცკო-პეჩერის აღების დროს ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 3 ზარბაზანი, 15 ტყვიის-მფრქვეველი, 1000 მეტი თოფი და სხვა.

ნოვგოროდში. ქალაქი სავსეა გამოქცეულ ბურჟუაზიით. ინგლისელებს, რომლებიც საზღვარ-გარეთ ვასვლის ნებართვას იძლევიან, აუარებელი საქმე აწევთ კისერზე. ყოფილი შემამულეები, თეთრ - გვარდიელები, ყველა კონტრ-რევოლუციონერები წასვლას იჩქარიან. ხმები ნოვოროსისკში სერბიელთა, ჩრნოგორელთა და ბულგარეთის ჯარის გადმოსხმის შესახებ, არ გამართლდა. არავითარი უცხოელთა ჯარი დენიკინთან არ მოდის, პირიქით სამხედრო მისიები საზღვარ-გარეთ წავიდენ.

საზღვარ-გარეთ.

ამერიკელები ფიქრობენ პოლონელებს მთელი თავისი სამხედრო იარაღი გადასცენ, რომელიც ევროპაში იმპერიალის ტური ომის შემდეგ დარჩა. ამით მათ სურთ გააძლიერონ პოლონეთი და დაიცვან დასავლეთი ევროპა ბალშევიზმის შეჭრისაგან, რადგან მათ ეშინიათ, რომ საბჭოთა რუსეთი პოლონეთზე თავდასხმას დაიწყებს. უსურიის რკინის გზის მთელი ხაზი წითელ ავანყებულთა ხელშია. ამ გზაზე მოძრაობა შეჩერებულია. გერმანიაში კონტრ-რევოლიუციაა. კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა, რომელმაც ბერლინში ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო ყველას არწმუნებს, რომ ის მონარქიული არ არის. ახალი მთავრობა მუშათა პარტიის მიერ მხარის დაჭერას ეძებს, მაგრამ მუშები ჯერ ჯეროვნით თავს იკავებენ. პროვინციიდან მოსული ცნობით სხვა ქალაქებში კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობას მხოლოდ ჯარი ემხრობა. მთელი რეინის ოლქი და ვესტფალიის მუშები ბერლინის ჯადატრიალეებს უარყოფითად ეკიდებიან. მრავალ ქალაქში საერთო გაფიცვები გამოაცხადეს. ბერლინში მრავალი ქარხანა გაიფიცა: დიუსელდორფში, ბერლინში და ფრანკფურტში შეტაკება მოხდა ახალი და ძველი რეჟიმის მომხრეთა შორის. მოკავშირეები გერმანიის ამბებს ყურადღებით ადევნებენ თვალს. მათ გადასწყვიტეს, რომ ყოფილ შეფის ვილგელმის თავდაცვა გააძლიერონ. მოკავშირეებს ეშინიათ, რომ ის ბერლინში არ გაიქცეს, სადაც მისი გამოცხადება მდგომარეობას უფრო გაართულებს. გერმანიის მუშები ალეკსებული არიან მონარქიული ავანტიურის ასეთი დაბოლოვებით. რეინის მთელ ოლქში, ვესტფალიის სამრეწველო ოლქში წკვ საერთო გაფიცვები დაიწყო. ფრანკფურტში, ნიურენბერგში, შაგდებურგში, ბრესლაში და ბერლინში უკვე გაიფიცა მრავალი ქარხანა. გაფიცულნი არიან წყალსადენის და ელექტრონის სადგურის მუშები. ბერლინის რკინის გზის მუშაობა შეწყდა. მოელიან ვესტფალიეთის გაფიცვას. სამხრეთ—გერმანიიდან მოსული ცნობით იქ ახალი მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოხდა.

კონსტანცა, 14 მარტი. ახალი მთავრობა ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს, ვითომ ის არც რეაქციონური და არც მონარქიულია. ის აცხადებს, რომ მზათ არის შეასრულოს ვერსალის ხელშეკრულება, მაგრამ ის გარემოება, რომ კანცლერად და მთავრობის მეთაურად არის ცნობილი პანგერმანისტი დ-რ ფონ-კაპი, თავდაცვის მინისტრად ცნობილი მონარქისტი გენერალი ფონ-ლიუტვიცი დამახასიათებელია იმისა, რომ ახალი მთავრობა ნამდვილი რეაქციონური და მონარქიულია.

კარლსრუე, 12 მარტი. ბავარიის, ნიურენბერგის, საქსონიის და ბადენის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს კონტრ-რევოლიუციის საწინააღმდეგოდ. ძველი მთავრობის სამხედრო მინისტრი ნოსკე საქსონიის ჯარს სათავეში ჩაუდგა.

ჯარის ცხოვრება.

ნ.

მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის კაცთა აღრიცხვა.

თანახმად სამხედრო სამინისტროს განკარგულებისა, დღეს მთელ რესპუბლიკაში ხდება 1875—1897 წლებში დაბადებულ მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის-კაცთა აღრიცხვა. ამ აღრიცხვამ ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია მოქალაქეთა შორის და ამის გამო საჭიროთ მიგვაჩნია დაწვრილებით შევეხოთ ამ საკითხს.

როდესაც სახელმწიფო თავის უზენაეს ინტერესების გამო იძულებულია გამოაცხადოს შეიარაღებულ ძალთა მობილიზაცია, მას წინდაწინ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული ნამდვილი რიცხვი მობილიზაციით გამოცხადებულთა.

ავიღოთ მაგალითად ასეთი შემთხვევა: სახელმწიფოს დასჭირდა გააძლიეროს თავისი მუდმივი ჯარი 15000 სათადარიგო ჯარის-კაცით და ამავე დროს მას სწორათ არ ყავს აღრიცხული ცალ-ცალკეთ ყველა წლების მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის-კაცები, რის გამო მობილიზაციის დროს ნაცვლათ საჭირო 15000-სა გამოცხადდა 25000 კაცი. ამ სახით 10000 მოქალაქის ოჯახი დროებით მუშა ხელის მოწყვეტით ცუდ მდგომარეობაში ჩაცვივდა და ამავე დროს სახელმწიფომ ზედმეტი 10000 კაცის გაწვევით, გადაყვანგადმოყვანით, საკვებით და სხვა ხარჯით ნახა რამოდენიმე მილიონ მანეთის ზარალი. სწორეთ ასეთი შემთხვევა მოხდა ყოფილ რუსეთის იმპერიაში 1914 წლის საყოველთაო მობილიზაციის დროს, როდესაც გამოცხადებულთა რიცხვი აღმოჩნდა ნავარაუდევზე ბევრათ მეტი და საჭირო შეიქნა მათი განთავსუფლება.

თუ მივიღებთ ძხედველობაში რესპუბლიკის საომარ ძალის განმტკიცების საჭიროებას და მისი დღევანდელ ეკონომიური მდგომარეობას, ცხადია, რომ სათანადო დაწესებულებათა მიერ ზსენებულ აღრიცხვას უნდა მიექცეს სავანგებო ყურადღება და ის სულ მოკლე ხანში სასურველათ უნდა დამთავრდეს. ამას მოითხოვს რესპუბლიკის კეთილ-წარმატება და მუდმივი ჯარის არსებობის ინტერესი.

რა სახით ხდება აღრიცხვა?

სამხედრო და შინაგან საქმეთა უწყებების 1919 წლის 4 მარტის № 74 ბრძანებით ხსენებული აღრიცხვა დაეკისრა ქალაქებში — უბნის კომისარიატებს და სოფლებში თემთა გამგეობებს. ამ ბრძანებაზე თანდართული ინსტრუქცია, რომელშიც დაწვრილებით არის აღნიშნული თუ რა სახით სწარმოებს აღრიცხვა, თავის დროზე დაურიგდა ყველა საალრიცხვო დაწესებულებებს. აქ კი მოკლეთ აღვნიშნავთ: მთელი აღრიცხვა გამოიხატება იმაში, რომ რესპუბლიკის ყველა 1874—1897 წლებში დაბადებულნი მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის-კაცნი ვალდებულნი არიან გამოცხადონ საალრიცხვო დაწესებულებებს და მიაწოდონ მათ სხვათა შორის შემდეგი ცნობები: ა) დაბადების წელი, ბ) რა დარგის ჯარშია ნამსახური (ქვეითა, ცხენოსან და საინჟენერო-სატეხნიკო ჯარებში, არტილერიაში თუ უმწყობრო სამსახურში) და გ) წოდება (რიგის ჯარის-კაცი, ნაცვალი და სხ.). შეიძლება აგრეთვე გამოცხადება თავის მაზრის (ქ. ტფილისის) სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსთან, რომელიც გამოცხადებულ მოლაშქრე ან სათადარიგო ჯარის-კაცს მისცემს სამსახურის ნუსხის ჩამონაჭერ № 3-ს, რის შემდეგაც სავალდებულოა ამ ჩამონაჭერის წარდგენა სათანადო საალრიცხვო დაწესებულებაში.

როგორც ზევით ვსთქვით, ამ აღრიცხვას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს: მისი სწორათ და დროზე დასრულებაზე დამოკიდებულია რესპუბლიკის თავდაცვის უზრუნველყოფა და მოსალოდნელ ზედმეტი ხარჯის თავიდან აშორება. ამიტომ, ვიმეორებთ, აბხაზეთის კომისარიატმა, ქ. ტფილისის თვითმართველობამ და სამაზრო ერობათა გამგეობებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მას და დროზე უზრუნველყონ როგორც რესპუბლიკის, ისე თვით მოქალაქეთა ინტერესები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თანახმად მთავრობის 1919 წლის 6 ნოემბრის დადგენილებისა, რომელიც გამოცხადებული იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 14 ნოემბრის № 258-ში, სასტიკათ ეკრძალება რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო, სამოქალაქო და კერძო დაწესებულებათ, ან კერძო პირთ მიღება სამსახურში ისეთი მოქალაქისა, რომელიც არ წარმოადგენს სათანადო სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის მიერ გაცემულ კანონიერ ბრძანებას იმის შესახებ, რომ მას მოხდილი აქვს სამხედრო ბეგარა და მიღებულია აღრიცხვაზე. ამ დადგენილებიდან ცხადათ სჩანს, რომ ყოველი მოქალაქე, რომელიც ითვლება მოლაშქრე ან სათადარიგო ჯარში, ვალდებულია იყოს აღრიცხვაზე მიღებული და მას ჰქონდეს სათანადო მოწმობა, უწომლისთის ის არსად არ იქნება მიღებული სამსახურში.

საქმის ასეთი მდგომარეობა მოითხოვს მოლაშქრე და სათადარიგო მოქალაქეები თავის მხრით სრული ინტერესით მოეკიდონ აღრიცხვის საქმეს და ამ სახით დროზე მოიხადონ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა რესპუბლიკის წინაშე.

ა—ნი.

სხვა და სხვა

◆ დამფუძნებელ კრების ადგილობრივ თვითმართველობის კომისიის მიერ კანონპროექტის გამომუშავების გამო საცხოვრებელი და სავაჭრო ბინებზე ფასების მომატების შესახებ კომისიაში შეტანილ იქნა წინადადება რომ კანონმდებლობითი წესით შეცვლილ იქნას წინათ გამოცემული დეკრეტი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების ბინების ფასის მოწესრიგების შესახებ.

◆ „დედოფლის წყაროს“ მცხოვრებლები ულოცავენ საქართველოს მთავრობას რუსეთის დიდის რევოლიუციის 3 წლის თავის დღესასწაულს.

◆ მთავრობის თავმჯდომარეს ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „ჩემ მიერ მოწვეული შავშეთის ყველა სოფლების წარმომადგენლებმა მთხოვეს გადავსცე საქართველოს ხალხსა და მას მთავრობას ძმური სალამი და დიდი მადლობა ჯარის გამოგზავნისათვის. ასეთივე სულიერი განწყობილება სუფევს არტანუჯში და ართვინში, სადაც მივდივართ ხვალ. დამფ. კრების წევრი გ. ანჯაფარიძე.

◆ სოფელ შუხუთში (ოზურგეთის მაზრა) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ყოველგვარ კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს ლანჩხუთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან, რომელსაც შორავს 4 ვერსით.

◆ სამკითხველო, რომელიც შეიძინა დამფუძნებელმა კრებამ ნ. ნიკოლაძისაგან, ფოთიდან ტფილისში გადმოიტანეს ბიბლიოთეკაში მიცემულია 5000 ათასი მანეთი.

◆ წ.—კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარი გამგეობა შეუდგა 1919 წლის წერაკითხვის გამგეობის მოღვაწეობის განხილვას. ამ წლის განმავლობაში საზოგადოებას გამოუცია ბევრი წიგნები, განსაკუთრებით სახელმძღვანელოები.

◆ დღეს საღამოს 7 საათზედ სასახლეში დამფუძნებელ კრების საკონსტატუციო კომისიის კრებაა. მონაწილეობას მიიღებენ ყველა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი. ამ კრებაზე განიხილავენ თეზისებს, რომელიც გამომუშავებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა მიერ.

◆ ბოტანიკურ ბაღთან არსებული სააბაზანო სკოლა, რომელიც შარშან დაიხურა, ისევ გაიხსნა.

◆ ლანჩხუთში შეუდგნენ სასოფლო სამეურნეო ნ. ქორდანიას სახელობის სასწავლებელის მოწყობას. მიწათ-მოქმედების სამინის, ტრომ ამ სასწავლებლისთვის გადასდო ხუთასი ათასი მანეთი.

◆ გუშინ ქალაქის თვითმართველობის შენობაში გაიხსნა თვითმართველობის მოსამსახურეთა ყრილობა.

◆ ადერბეიჯანის მიერ ბათომში ნაყიდი 70000 ფუთი შაქარი უკვარგისი გამოდგა.

◆ სენატორმა ი. ხურაბიშვილმა განცხადება შეიტანა სენატში სენატორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

◆ როგორც გვატყობინებენ სამეგრელოს და გურიის კოოპერატივები მათ შეუსყიდიათ დიდძალი თხილის პარტია ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში იტალიაში გასაგზავნათ.

◆ საქართველოს სომეხთა ნაციონალურმა საბჭომ დაადგინა 5000 ფუთი ფქვილი გაიღოს საქართველოს დამშეულ სოფლების მცხოვრებთა გადასაცემათ.

საქართველოს მუზეუმის შენობის სტილის საკითხი.

(სახელოვნო ცენტრის, საალმშენებლო კომისიის, სამხატვრო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების შეერთებულ სხდომაზე მარტის 14 მიღებული, რეზოლიუცია).

1. ვინაიდან მუზეუმში დაგროვილია დიდძალი მასალა და მუზეუმში მეცნიერულ საფუძველზე დაწყებულ მუშაობის გამო, მოსალოდნელია კვლავ ამ მასალის შემატება—, აუცილებლად ჩაითვალოს, რომ მუზეუმის ახალ შენობის განკარგულებაში გადაიცეს მთელი კვარტალი, რომელიც გადის დორის-მელიქის ქუჩაზე.

2. ვინაიდან პროექტით, სპარსულ სტილზე განზრახული შენობა არ შეეფერება დროსა და ერის დირსებას, შეიცვალოს იგი და მას მაგიერათ მოთხოვნილ იქმნეს თავისუფალი მხატვრული შემოქმედება ქართულ ეროვნულ ხუროთმოძღვრებაში ასახულ გზების მიხედვით.

3. ვინაიდან აუცილებლად ცნობილია შენობის მთელი სახის შეცვლა, მეორე მუხლის თანახმად—, გამოცხადდეს მოკლე ხანში საქართველოს მუზეუმის შენობის რომელიც მდებარეობს მთელს კვარტალზე და რომელშიაც შევა რუსთაველის პროსპექტზე გაშენებული შენობა შესწორებით) პროექტების კონკურსი ფასადების და დანარჩენ ქუჩებზე გამოშენებულ კორპუსების და გეგმა უნდა წარმოდგენილ იქმნეს ესკიზის სახით.

4. აღიძრას შუამდგომლობა, რათა ქალთა გიმნაზია და სახელმწიფო სტამბა გადატანილ იქმნენ მუზეუმის კვარტალის ეხლანდელ შენობებიდან, რომ ეს მათი სადგომები გადაეცეს მუზეუმს, თვის განკარგულებაში და საჯარო ბიბლიოთეკის გასახსნელად.

5. დაევალოს სამხატვრო ცენტრის პრეზიდიუმს წარსდგეს სათანადო მოხსენებით ამ დადგენილების შესახებ მთავრობისა და დამფუძნებელ კრების წინაშე.

მიწის ძვრის გარშემო

თანაგრძნობა პროვინციიდან.

ხ. კულაში. კულაშის თემის ხმოსანთა ყრილობის არა ჩვეულებრივი კრებას გადაწყვეტილება გორში მიწის ძვრის დროს დაზარალებულთა შესახებ მოხსენება გააკეთა ქუთაისის სამაზრო ერობის წარმომადგენელმა მოქ. მეფარიშვილმა. მან განმარტა მდგომარეობა მეზობელ მაზრის გორელების მცხოვრებთა და დიდის მწუხარებით აღნიშნა ხმოსანთა კრებამ ასეთი დროს ჩვენი ამხანაგების მდგომარეობა და დაადგინა კულაშის თემმა შეინახოს ბინიერ ორასი სული, მხოლოთ ამ ორასი სულიდან ორმოცი სული ყოველივე ადამიანურ საზრდოებით მანამდის, სანამ თვით მათი მდგომარეობა გაუმჯობესებულ იქნებოდეს. ამ კრებაზე გარდა ამ გადაწყვეტილებისა მოხდა ფულით დახმარების სურვილი და მიიღეს მხურვალე მონაწილეობა ხელის მოწერით თვით ხმოსნებმა და დამსწრე მოქალაქეებმაც. კულაშის თემის მცხოვრებნი მზათ არიან მივიდნენ დაზარალებულ გორელების დასახმარებლად რითაც შესაძლებელი იქნება.

თემის თავმჯდომარე დ. შენგელია.

ზ. მაჩხაანის თემი. 1920 წ. 29 თებერვალს შესდგა ზ. მაჩხაანის თემის მცხოვრებთა ყრილობა ზ. მაჩხაანის თემის გამგეობის ხელმძღვანელობით. წაკითხულ იქმნა მოწოდებები როგორც ცენტრალურ ისე სიღნაღის მაზრის გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტისა. გამგეობის წევრებმა დაწვრილებით გააცნეს დამსწრე საზოგადოებას ის აუტანელი მდგომარეობა გორის მაზრის მცხოვრებთა, რომელიც მიაყენა მათ საშინელმა მიწის ძვრამ და მოუწოდეს მოქალაქეთ მიიღონ მხურვალე მონაწილეობა დაზარალებულ მოძმეთა დასახმარებლად შემოწირულების სახით. დამსწრე საზოგადოებამ გამოსთქვა რა დიდი მწუხარება გორის მაზრაში მომხდარ ამბების შესახებ, გადასწყვიტა აღმოეჩინოს დაზარალებულთ ყოველგვარი მატერიალური დახმარება და შემოწირულების შესაგროვებლად ამოირჩია ზ. მაჩხაანის თემის გორის მაზრის დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი, რომელშიაც არჩეულ იქმნა ხუთი კაცი: თავმჯდომარედ თემის გამგეობას წევრი მიხეილ გ. ბერიაშვილი, წევრებად: მასწავლებელი ა. ელენე ბოსტაშვილი, სკოლა მ. ტოკლიკაშვილი, მასწავლებელი თამარა ე. კობიაშვილი და ბესო ი. ჯანაშვილი, რის შემდეგაც ყრილობა დაიშალა და კომიტეტი კი მაშინვე შეუდგა დაკისრებულ მოვალეობის ასრულებას. კომიტეტს თავისი სურვილით ხელი შეუწყვეს და დიდი დახმარებაც მისცეს თავისი მუყაითი მუშაობით შემოწირულების შეგროვებაში: თემის ხმოსანმა კოლა დ. ნატრო შვილმა, ქარუმა ი. ნატროშვილმა, ნადია ა. კობიაშვილისამ, გიორგი თ. ბენაშვილმა, სიკო გ. ბოჭორიძემ, გეგენა გ. ბოჭორიძემ, ვასო დ. ჩუთლაშვილმა, გორა იაკობიშვილმა, ნიკა დ. ჯანაშვილმა და ქარუმა ი. ნატროშვილმა. სამი დღის განმავლობაში 29 თებერვალს, 1 და 2 მარტს შეგროვებულ იქმნა: ხორბალი 18 ფ. 33 გ., ფქვილი 12 ფ. 8 გ., ფეტვი 38 ფ. 39 გ., ქერი 9 ფ. 19 გ., სიმანდი 5 ფ. 3 გ., მატყლი 1 ფ. 18 გ., კარტოფილი, ლობიო და ხახვი 3 ფ. 15 გ., წინდები ბაწრისა წყვილი და ფული 1.422 მან. კომიტეტი განაგრძობს მუშაობას.

კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ბერიშვილი.

ახალ ციხე. ახალ-ციხის სცენის მოყვარეთა დასი ,,ხელოვნება'' უერთდება მთელი საქართველოს მწუხარებას გორის მაზრაში მომხდარ უბედურების გამო. დასმა საგანგებოთ მოაწყო საღამო დაზარალებულთა სასარგებლოთ 28 თებერვალს, რომლის წმინდა შემოსავალი 28.583 მან. გაეგზავნა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს.

გამგეობის თავმჯდ. ამხ. **დ. ფალავა.**

ქალაქის საბჭო

15 მარტის სხდომა

თავმჯდომარეობს **ალ. ყიფიანი.**

30 მილიონი მანეთის სესხით აღების შესახებ მოხსენებას აკეთებს **გ. მაჭავარიანი.** ის აღნიშნავს ქალაქის მდგომარეობას ომამდე და ომის შემდეგაც და ამბობს, რომ ქ. ტფილისი ნორმალურ დროსაც დეფიციტს განიცდიდა. მისი ხარჯები ომამდე ყოფილა 2,248,479 მან. დღეს კი ქალაქის ხარჯები ნავარაუდევია დაახლოებით 300000000 მანეთი შემოსავალი კი დიდათ ნაკლებია და ქალაქი დიდი ფინანსიური კატასტროფის წინაშე სდგას, ამის გამო სხვა საშუალებათა გამოძებნის გარდა ქალაქმა უნდა მიმართოს სესხს. უნდა ეთხოვოს მთავრობას, მაგრამ ვინაიდან მას საშუალება არა აქვს მოგვცეს იმდენი, რამდენიც საჭიროა ჩვენთვის, ამიტომ გამგეობამ გადასწყვიტა სთხოვოს მთავრობას 30,000,000 მანეთი. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ ქ. ტფილისი არ არის დავალიანებული, გარდა ამისა მას აქვს მილიარდად აღიარებული ქონება და აღვილათ შეუძლია გადაიხადოს ეს სესხი.

საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის მოხსენება და დაადგინა ეთხოვოს მთავრობას 30,000000 მანეთი სესხი.

წყლის ტარიფის გადიდების შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ბესელიძე. ის აღნიშნავს, რომ ძლიერ სასურველი იქნებოდა რომ ქალაქის მცხოვრებთ თუ არ უფასოთ, ისეთ ფასებში მაინც მისცემოდა წყალი, რომ მომხმარებელი ეკონომიას არ ეწეოდეს და მასთან წყალი კარგიც იყოს.

თუ ძველი ტარიფი დარჩა, მაშინ ჩვენ 14 მილიონი მანეთის ზარალი გვექნება. ამას ჩვენი კასა ვერ აიტანს და გამგეობა შუამდგომლობს საბჭოს წინაშე წყლის ტარიფი 100 პროცენტით გადიდდეს. ესე—იგი თუ წინეთ ვედრო წყალი 5 კაპეიკი ღირდა დღეიდან 10 კაპეიკათ უნდა გახდეს.

საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის წინადადება. საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ მოხსენებას აკეთებს. **გ. მაჭავარიანი** აღნიშნავს, რომ თუ ქალაქი შემოტანილსა და გატანილ საქონელზე საფუთო გადასახადს შემოიღებს, მას შეგროვილ ცნობების თანახმათ, 2½ მილიონი მანეთი შემოუვა. ამიტომ გამგეობამ დაადგინა შემოიღოს გაოცკეცებული საფუთო გადასახადი ყოველგვარ შემოტანილ და გატანილ საქონელზე. ეს გადასახადი შემოღებულ უნდა იქნას ტფილისისა და ნავთლუღის სადგურებზე. საფინანსო კომისიის აზრით ხორბლეულობა და ფქვილი განთავისუფლებული უნდა იყოს საფუთო გადასახადიდან.

ზარეულოვის აზრით ასეთი გადასახადების შემოღება დიდათ გააძვირებს ცხოვრებას და ამიტომ მას მიუღებლად მიაჩნია გამგეობის წინადადება.

გოგუა იცავს საფინანსო კომისიის აზრს და მოითხოვს განთავისურლებულ იქნას გადასახადიდან ხორბლეულობა და ფქვილი.

ჩალუნეული მზარეულოვის წინააღმდეგ ამტკიცებს, რომ ეს გადასახადი არც ისე გაძვირებს ცხოვრებას. თუ ასე შევხედეთ საკითხს, არც ერთი ტარიფის გადიდება არ იქნება მისაღები. ნელფასის მომატებით არ ძვირდება ცხოვრება, არამედ ის თავისთავად მიმდინარეობს. ასე რომ ამ გადასახადს ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება. მას წინადადება შეაქვს სოც.-დემ. ფრაქციის სახელით პირველ საჭიროების საგნებზე შემცირებულ იქნეს გადასახადი და შემოღებულ იქნეს გაათკეცებული გადასახადი. ამას გარდა განთავისუფლებულ იქნას გადასახადიდან მიცვალებულები.

ვეკუა იცავს ფინანსიურ კომისიის აზრს. მისი აზრით, ამით ისარგებლებენ ვაჭრები და ჯვრი ათად გადაიტანენ მომხმარებელზე.

საბჭომ მიიღო სოციალ-დემ. ფრაქციის წინადადება.

ამის შემდეგ დადგენილ იქნა: გაუდიდდეს ხის ხლის სამართლის მილიციის ფიზიკოსს ჯაგირი და მიეცეს მას თვეში 6700 მანეთი, მის ოთხ თანაშემწეს 5800 მანეთი თითოს პირველ იანვრიდან. მე-13 უბანი აღიარებულ იქნას ცალკე უბნად და დაინიშნოს კომისარი.

დ. კლდიაშვილის 30 წლის სამწერლო მოღვაწეობის გამო გაღებულ იქნას 5000 მანეთი. დამტკიცებულ იქნას 1919 წლის ხარჯთაღრიცხვა.

კუკიის რაიონში დაარსდეს ცეცხლის მქრობელ რაზმის განყოფილება და მისი საჭიროებისათვის გაღებულ იქნას საჭირო თანხა.

მე-5 უბანში დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ: გ. სადაგოშვილი, ხარაშვილი, ე. მახვილაძე, გ. ლორთქიფანიძე და წვერავა.

ქალაქის თვითმართველობაში.

ტექნიკური განყოფილება

ქალაქის თვითმართველობის ტექნიკური განყოფილება აწარმოებს ფართო მუშაობას მუნიციპალური დაწესებულებების სასურველად მოსაწყობათ და გასაფართოებლად. წელს ზამთარში გახსნილ იქნა საპნის დასამზადებელი ქარხანა ქალაქის სასაკლაოსთან, რომელიც დღიურათ იძლევა 60 ფუთ საპონს.

ამუშავებულია აგრეთვე დღემდის შეჩერებულ ქონის სახდელი ქარხანა.

განყოფილება დიდ მუშაობას აწარმოებს აგრეთვე საალმშენებლო დარგში.

შეადგენა საჭირო მასალები ქუჩების მოსაკირწყლავათ და ქვაფენილების დასაგებათ.

წინეთ ქალაქს უხდებოდა სილის შესყიდვა, რაიც იწვევდა დიდ ხარჯებს ეხლა კი სამინისტრომ ნება დართო ქალაქის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სილიან ნიადაგის ექსპლოატაციასა, რის შეგროვებას შეუდგა უკვე ტექნიკური განყოფილება და უკვდება იაფადაც.

ქვაფენილების დაგება ქუჩებზე დაიწყება ახლო ხანში, როგორც ქალაქის ცენტრში, ისე განაპირა უბნების ქუჩებზედაც.

განაპირა უბნებში ქუჩების კეთება უკვე დაწყებულია, ნადიროვკაში ვრთი ქუჩა მზათაა.

ტექნიკური განყოფილება დონისძიებას ხმარობს, რათა ეაზაფხულში მოულოდნელი დიდი წვიმებით გამოწვეული ზვავის საშინაღმდეგოთ გაიყვანოს თხრილები საჭირო ადგილებში.

ხელოვნება

,,ვ. გ.'' წერილი გ. ჭანტურიას.

ჩვენი გაზეთის №-ში მოთავსებულ ,,ვ. გ.'' წერილს—,,ხელოვანი განვითარებული უნდა იყოს'' რედაქცია არ იზიარებდა, ის შეცდა, მით დაიბეჭდა.

შალვა დადიანი.

დღეს არტისტიულ თეატრში შალვა დადიანი დასასვენებლად გამგზავრების წინ გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე მისივე ახალი ორიგინალური პიესა ,,გეგეჭკორი''. სიუჟეტი აღებულია სამეგრელოს წარსულ ცხოვრებიდან და ავტორი ბევრ საინტერესო ზომენტს ეხება.

შარშან ბ. დადიანს შეუსრულდა სასცენო მოღვაწეობის ოცდა ხუთი წელიწადი. მან ქართულ თეატრის რეპერტუარს ბევრი საინტერესო ორიგინალური პიესა მისცა შალვა დადიანი ქართულ თეატრს მსახურებოდა სამწაირად: ის რეჟისორიც იყო, მსახიობიც და დრამატურგიც. ბევრი წერილები აქვს დაწერილი თეატრის საკითხის შესახებაც, სადაც ავტორი დიდ ცოდნას იჩენს თეატრის საქმეში. მისი კალამი განსაკუთრებულ სტილისაა. მშვენიერი წმინდა ქართული ენა—აი საუკეთესო დამხასიათებელი მისი ნაწერებისა. როგორც სასცენო მუშაკი შალვა დადიანი ყოველთვის სინდისიერად მუშაობდა და ყოველთვის მის მუშაობასაც დიდი ნაყოფი ემჩნეოდა.

შალვა დადიანი ხშირად უფრო პროვინციაში მოღვაწეობდა. დემოკრატიულ წრეებში მას ტფილისი ნაკლებად იცნობს. უეჭველია, მომავალში დააფასებენ შალვა დადიანის ღვაწლს. ვიმედოვნებთ შალვა დადიანის დღევანდელ წარმოდგენას საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდება.

მიხ. ნანობაშვილი.

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ჩვენი თანამემამულე მომღერალი მიხ. ნანობაშვილი (მიშელ დარიელი).

მ. ნანობაშვილი მღეროდა პარიზის ,,გრან-ოპერაში''. ბოლო დროს მ. ნანობაშვილი მიიწვიეს პარიზის კომიკურ ოპერაში, აქ ის პრემიერად იყო. მომღერალი გამოვა შემდეგ ოპერებში: ,,ვერტერში'', ,,ფაუსტში'', ,,ჰუგენოტებში'' და ,,აიდაში''.

სტუდიის წრის წარმოდგენები.

ტფილისში შესდგა სტუდიის მსახიობთა პატარა წრე, რომელიც დროგამოშვებით მართავს წარმოდგენებს ქართულ კლუბის სცენაზე. რეჟისორად მიწვეულია მიხ. ქორელი. ხვალ წარმოადგენენ ვალ. გუნიას პიესას ,,ივერიძის ოჯახს''.

ივ. სარაჯიშვილის ბენეფისი.

ხვალ სახელმწიფო თეატრში ივ. სარაჯიშვილის ბენეფისია. იდგმება ,,ჰუგენოტები''.

ერობა

სიღნაღის სამაზრო ერობაში.

სიღნაღის ერობის სტატისტიკური განყოფილების ცნობით გასულ წელს მაზრაში 7535780 ფუთი პურის ხორბალი მოსულა, ამათგან 5862492 ფუთი დახარჯულა ადგილობრივ მცხოვრებთა გამოსაკვებათ და სათესლეთ, ხოლო 14967 ფუთი კი ერობამ გადასცა მთავრობას, დანარჩენი გატანილ იქნა მაზრიდან სხვა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებისა და კერძო პირთა მიერ.

ამ წლისათვის მოსალოდნელია გაცილებით მეტი მოსავალი, რასაც ხელს უწყობს შესაფერი დარი და დათესილია ავრეთვე დიდძალი მიწები, რომლებიც გასულ წელში არ დათესილან.

სურსათ-სანოვაგის დაგროვებისა და განაწილების საქმეში ერობამ დიდი უნარი გამოიჩინა. ამისათვის შექმნილ იყო სავანგებო ორგანიზაცია, რომელშიაც შედიოდენ წარმომადგენლები თვითმართველობის და სხვერობო წვრილი ერთეულების.

ნაკლებობა ნივთიერი საღსრისა მეტად უშლიდა ხელს ერობას, რომ ერთდროულად შეეძინა სურსათ-სანოვაგე; ამ გარემოებით სარგებლობდენ კერძო პირები და სპეკულიანტები და არ იშურებდენ ფასს, რითაც მატულობდა ფასი ყველაფერზე.

ამ წლისათვის ერობას განზრახული აქვს აწარმოოს სასურსათო დიდი ოპერაციები. შეძენილ იქნება ხორბალი, მატყლი, თუთუნი, დაამზადებს თივას, შეშას, ნახშირს ყველს და სხვ.

ხსენებული სურსათ-სანოვაგე განზრახულია დამზადდეს იმდენი, რამდენიც ესაჭიროება ხალხს.

ერობა შეიძენს აგრეთვე მცხოვრებლებისათვის გარეშე ბაზარზე მანუფაქტურას, ბრინჯს, ნავთს, საპონს და სხვ.

სასურსათო საქმის გასაუმჯობესებლად ერობას განზრახული აქვს საჭირო ცვლილება შეიტანოს სასურსათო განყოფილების მუშაობაში, გააფართოოს უკანასკნელი, დაიხმაროს მაზრაში არსებული ყველა კოოპერატივები, წვრილი ერთეულები, მოიწვიოს აგენტები, რომლებიც შეისყიდიან ყოველგვარ სასურსათო საგნებს.

ასეთი ოპერაციებისათვის ერობას დასჭირდება დიდძალი თანხა, ხოლო მის განკარგულებაში კი დღეს ვალების გარდა არარა არის. ამის გამო ერობა შუამდგომლობს შინაგან სამინისტროს წინაშე უპროცენტო სესხის სახით ერთისა ან ორი წლის ვადით ასჯერ 15 მილიონი მანეთი.

თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ვექმები განახორციელა ერობამ, მაშინ მას შეუძლია მთავრობას მისცეს არა ნაკლებ 1500000 ფუთი ხორბალისა.

თელავი

ყაჩაღთა ლიკვიდაცია თელ. მაზრაში.

ვინ არ იცის რა საშიშროებას წარმოადგენდა თელავის მაზრა ყაჩაღების მხრივ. დიდი ხანია თელავის მაზრა განთქმული იყო ყაჩაღებით, რომლებსაც ხელში ჰყავდათ დაჭერილი არა თუ მცხოვრებნი, არამედ ადმინისტრაციაც კი. ბოლო ხანებში ხომ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მთელი მაზრის ბატონ-პატრონნი ისინი გახდნენ და იქამდი მივიდა მათი გავლენა, რომ საჩივლელადაც კი მიდიოდენ მათთან.

უნდა ითქვას, რომ ძველ დროსაც ადმინისტრაცია ყურადღებას აქცევდა, ხან მთელ პოლკსა ჰგზავნიდა, ხან განსაკუთრებითი რაზმებს ადგენდა, დიდძალ ფულს ხარჯავდენ ცხადლივ და მალულად, მაგრამ ყაჩაღთა რიცხვი არა თუ კლებულობდა, არამედ მატულობდა და მათ აგენტთა რიცხვიც ყოველთვის დიდი იყო ვინაიდან ბევრს სასახელოთ მიაჩნდათ მათი დაახლოება.

ასე იყო თელავის მაზრაში, ვიდრე ერობა შემოვიდოდა და ხალხს მართველობას არ აიღებდა ხელში, ხალხისავე არჩეულნი. ამ დღიდან იწყება სასტიკი და შეუბრალებელი დევნა ყაჩაღებისა. ერობამ, როგორც მოსალოდნელი იყო მიზნად დაისახა ყაჩაღთა აღმოფხვრა და ამ მხრივ მაზრაში მშვიდობიანობის დამყარება, მხოლოდ აქტიური მოქმედება ჰხვდება წილად თელავის მაზრის მილიციის უფროს კაპიტან კონსტ. აბაშიძეს, მის თანაშემწეს რ. ნატროშვილს და მაზრის რეზერვის მილიციონერებს.

ბ. კ. აბაშიძემ თავის სიყოჩაღის მოხერხებით და უნარით განსაკუთრებითი ზომების მიუღებლად გააწადგურა, მთელი ყაჩაღთა ბრბოები და თუ ვინმე გადარჩა, საჩქაროთ მიატოვა თელავის მაზრა და თავს უშველა სხვაგან გაქცევით.

მაგრამ შორს მჭვრეტელი ადმინისტრატორი აბაშიძე დარწმუნებულია, რომ მაზრა სავსებოლოდ არ დამშვიდდება, თუ სრულიად არ იქნებიან მოსპობილნი და თუ დროებით წავიდენ, შემდეგ ისევ დაბრუნდებიან, იშოვნიან მომხრეებს და შეადგენენ ახალ-ახალ ბრბოებს. ამისათვის აბაშიძე იგებს სად გაიქცენ, სახელდობრ შირაქში და სამად სამი მილიციონერით მიდის თვალგადაუწვდენელ შირაქის ველზე მათ შესაპყრობათ, მართლაც მიუხტება ერთდა იმავე დამეს მწყემსის ბინაზე ჯერ ერთს, მერე მეორეს, ასტყდება გაცხარებული სროლა, რომლის დროსაც ორთავე ყაჩაღებს დაჰხოცავს. ესენი იყვენ ციხიდან გაქცეულნი ვეფხვიაშვილი და ჯანგირაშვილი.

გამარჯვებული აბაშიძე ბრუნდება თელავში და აწყობს ახალ ექსპედიციას, რომელიც უფრო რთულია, რადგანაც უცხო ქვეყანაში უხდება წასვლა. ის მიდის მალულად განჯაში და ადგილობრივ ადმინისტრაციის შეტყობინებას ვერც კი ასწრობს, რომ საჩქაროთ თავს დაესხმება თელავიდან გაქცეულთ, ასტყდება აქაც სროლა, ადგილობრივმა მილიციამ არც კი იცის რაშია საქმე და უნდა აბაშიძეს დაუწყოს სროლა, მაგრამ მალე ირკვევა საქმე და ორს ცოცხალს იჭერენ, ერთს ადგიმამულოვს და მეორეს ყაჩაღების აგენტს დიასამიძეს. ეს ორი პირი ჩამოიყვანა უკვე თელავში.

ამნაირად მოხდა თელავში ყაჩაღთა ლიკვიდაცია, დამშვიდდა ამ მხრივ მაზრა, მოისვენეს მცხოვრებთ და ყველა ამაში კი საზოგადოება უნდა უმადლიდეს ვროგორც ერობას, ისე მილიციის უფროს აბაშიძეს.

დ—ლი.

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ პატივცემულ გაზ. ,,საქართ. რესპ.'' საშუალებით ნება მომეცით ულრმესი მადლობა გამოუცხადო, როგორც ჩემის მხრით, აგრეთვე ჩემის მოწაფეების მხრითაც, ალექსანდრე ილიასძე ჯანყარაშვილს, რომელმაც გამოუწვრა ჩემდა რწმუნებულ სასწავლებელს პირველ იანვრიდან ე. წ. საკმაწვილო ჟურნალი ,,ნაკადული'' მცირე წლოვანთათვის.

ქ. მაჩხაანის პირველ დაწყებითი სასწავლებლის გამგე ილ. მენთეშაშვილი.

წესდება

,,საქართველოს ცენტრ. სავაჭრო-სამრეწ. ბანკისა.

(ცენზურობანკი)

§ 22.

ყოველ გვარ ხესხის გაცემის დროს ბანკი იძლევა მხოლოდ ნაღდ ფულს და არა სხვა რაიმე ვალდებულების ქადალდს თავისი თვისისადმი მიმართულს.

§ 23

დებულის ბილეთებს იძლევა ბანკი ბლანკებზე, რომელიც შეიძლება იქმნას დაბეჭდილი სახელმწიფო ქადალდების დასამზადებელ ექსპედიციაში.

ამ ქადალდების ყალბი გაკეთებისათვის მიესჯებათ დამნაშავეთ ისეთივე სასჯელი, როგორც ის დაწესებულია სახელმწიფო ქადალდების ყალბი გაკეთებისათვის.

§ 24.

უძრავი ქონება ნება ეძლევა ბანკს შეიძინოს თავისი ბინისა და საწყობისათვის საჭიროებისა გამო და აგრეთვე თავისი განყოფილების ბინასათვის, აქციონერთა საზოგადო კრების ნებართვით.

ბანკს ნება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძინოს ან გირაოდ აიღოს ბანკის

უპირველ მოვალეობათ ჭირავს ქონება, რათა მით აიცილოს თავიდან ზარალი იმ ვალის გადაუხდელობით, რომელიც მასპინძის პატრონს დასდებია.

ყიდვა ამისთანა მასპინძის ან გირავნობის ქალალდის შესრულება შეუძლია მხოლოდ გამგეობას ერთხმივ გარდაწყვეტილებით და ბანკის საბჭოს დადასტურებით. გირავნობის ქალალდი უნდა იყოს ისეთი ვადით, რომ არ აღემატებოდეს ბანკის მიერ ვექსილების განაღდებისათვის დაწესებულ ვადას. გირავნობის ქალალდის ვადის გასვლისთანავე, თუ გირაოს პატრონი კვლავ უპირველ ადმოჩნდა ბანკი მოვალეა დაუყოვნებლივ წაუღებს ვალის გადახდევინებას გირავნობის ქალალდის ძალით. გაყიდვა იმ ქონებისა, რომელიც ბანკს დარჩება სჯარით გაკრობამდე, წლის განმავლობაში უნდა მოხდეს.

§ 26.

შეძენა თავის საკუთარი აქციებისა და აგრეთვე გაცემა სესხისა მათის დაგირავებით ბანკისათვის აღკრძალულია.

§ 26.

დებულებე და მიმდინარე ანგარიშზე ბანკში შეტანილი ფული არ შეიძლება დაკავებულ ან შეკრულ იქმნას, თუ არ იმ წესით რაც განსაზღვრულია სამოქალაქო სამართლის წესდებითა და ამ გვარ შემთხვევაში ბანკს უნდა წარედგინოს მის მიერ მდებელზე მიცემული ბილეთები და საანგარიშო წიგნაკები.

§ 27.

ბანკში წარდგენილი გირაოთ ლიტონნი, საქონელი, ასიგნოვკები ოქროს მისაღებად, გარანტები, კონსამენტები და კვიტანციები სატრანსპორტო კანტორებისა, რკინის გზებისა და სანაოსნო საზოგადოებათა და ყოველ გვარი ფასიანი ქალალდი და სხვა გირაონი არ შეიძლება შეკრულ იქმნას არავითარი კერძო და სახაზინო გარდასახადისათვის და ბანკის მოვალის საკონკურსო ქონებად გარდაიქცეს, ვიდრე სულ მთლად არ იქნება გადახდილი ის სესხი, რომელიც მათის გირაოთი გასცა ბანკმა კუთვნილი პროცენტებითა, ჯარიმითა და უპირველობის დანახით, თუ ვინიცობაა სესხის ვადა განსაზღვრულ დროს გადაცდენილია.

§ 28.

რაოდენობა ბანკის ვალდებულებებისა არ უნდა აღემატოს ათჯერ მეტად შეერთებულ ძირითად და სათადარიგო თანხას.

§ 29.

ბანკის თითეული კლიენტისათვის გადაწყვეტილი კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს ერთ მეათედ ნაწილს ბანკის ძირითადი თანხისას.

§ 30.

ბანკში დებულად შეტანილი ფულზე შეიძლება მარტოდ-მარტო სახელობითი ბილეთები იქნას გაცემული. ეგ ბილეთები შეიძლება ერთის ხელიდან მეორეს ხელში გადავიდეს, იმ პირობით კი, რომ ხელ სრული წარწერა დაერთოს ბილეთს გარდაცემის დროს, და თვით ბანკის დაწორებაც აღნიშნოს ეს გადაცემა.

განცხადებანი

17 სამომრიგებლო უბნის სასამართლოს ბოქაული გეგელაშვილი აცხადებს, რომ 1920 წლის 20 მარტს, დილის 11 საათზე, ქალაქ. ტფილისში, 11 უბანში, რომანოვის ქუჩა № 19 საჯარო ვაჭრობით გაყიდულ იქნება ნიკოლოზ და ტატიანა რომანოვიჩების მოძრავი ქონება, შეფასებუთი 900 მ. ქონება. ეს გაიყიდება ვასილი ხაჩიძის ვალის დასაკმაყოფილებლად. 425 1—1

აღვადგინდით ივანეს ასული ჩაგონავასი ვცხადებთ, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლის უფროსის ნოტარიუსის მიერ 1901 წლის 1 მაის, რეგისტრაციი № 905, გაუქმებულად ჩაითვალოს. 466 3—2

ნესტორ მაქსიმეს ძე ჩხიკვაძე ცნობილებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მილებული ფარცხმის თემისაგან (გურია), 1920 წლის იანვარში და პარტყული ბარათი ჩხარტყურას ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციიდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 442 3—3

დაკარგულია 3ე 7 აპრ მაისის ქ. № 7 მდგმ. სახლის დავითარი ანნა იოსების ასული და ალექსი გრიგოლის ძე ლასხარაშვილების სახელზე. დავითარი გაუქმებულად ჩაითვალოს. 437 3—3

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე თევზაია ვცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სოფ. ვონიოს საზოგადოების სამწყობოვლისაგან, მეტრიკული ამონაწერი და პროფესიონალური კავშირის წიგნაკა, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 454 3—2

ტფილისის გვა-ნახშირის საზოგადოება „ნახშირა“-ს ითხოვს აქციას, №№ 2662—2671 ღირებულობით 5000 მანეთის, რომელნიც ირიცხებიან მისხილი მაგრატის ძე ცოვიანოვის სახელზე—დაკარგა და გაუქმებულად ჩაითვალოს. 452 3—2

მარიამ ზაქარის ასული და მარგარიტა სუმბათის ასული შახაზიზოვები (იგივე ტერ სარქისოვები) ცხადდებენ, რომ მათ დაჰკარგეს მინდობილობის ქალალდი, მიცემული 15 მარტს 1919 წ. № 7850 არტაშეს გრიგორის ძე რუსდვანოვისთვის ჩაითვალოს გაუქმებულად. 456 3—3

ნიკოლოზ ვასილის ძე ვეღმეშენკო აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა № 9972 მიღებული 1918 წ. 6 მარტს ტფილისის საბინადრო უფროსისაგან. აგრეთვე მოწმობა მიღებული მთავრობის სტამბის სამართველოდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 460 3—3

ხაიკ ვართანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვადიანი პასპორტი, ტფილისის მილიციის უფროსის. სამართველოდან მიღებული გაუქმებულად ჩაითვალოს. 457 3 3

როგორ ისმაილის ძე ალიევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა გირავნობის მოწმობა ასკარ აბდულას ძე კარაბანოვის უძრავ ქონების შესახებ, მიღებული 1918 წ. 3 ივნისს. რეესტრით № 2920. გაუქმებულად ჩაითვალოს. 451 3-3

უნტერობი მილიციონერი ტფილისის მილიციის კონსტანტინე ჯიბუტი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტრამვაიზე მიმოსვლის პირადობის მოწმობა, მიცემული მილიციის სამმართველოდან 1920 წელში № 282. გაუქმებულად ჩაითვალოს. 408 3—2

სამხედრო სკოლის შენობაში

პლეხანოვის პროსპექტზე

იძლევა იჯარით მექანიკური სამრეცხაო

საჯარო ვაჭრობით. ვაჭრობა დანიშნულია 17 მარტს, დილის 10 საათზე. წინასწარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე სკოლის კანცელარიაში დილის 10 საათ. ნაშუადღევის 3 საათამდე. 486 3—ე

ქუთაისის სამხედრო გიმნაზიის დისტანცია

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 16 მარტს დანიშნულია შეჯიბრება ქუთაისის გარნიზონისთვის ოთხასი საქონი სამღერიანი ზომის შეშის დადგმაზე.

შეჯიბრება მოხდება, როგორც ზეპირ შეჯიბრებით, აგრეთვე დაბეჭდილ პაკეტებით დისტანციის კანცელარიაში დღის 12 საათზე. მსურველმა უნდა წარმოადგინოს საწინდარი 20 პროც. განცხადებულ ფასისა. პირობების გაგება შეიძლება ხსენებულ კანცელარიაში ყოველ არა უქმე დღეს. 286 3-2

ტფ. სასოფ.-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების

ჩვეულებრივი წლიური კრება

დანიშნულია 28 მარტს 11 საათზე, ნაცვლად 12 მარტს დანიშნულ კრებისა, რომელიც არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. განსახილველი საგნები: 1. საბჭოს მოხსენება. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3. 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება. 4. 1920 წლისთვის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 5. არჩევნები: გამგეობის თავმჯდომარის მოსაგებით გასული ვ. რ. ყიფიანის სამაგიეროთ. საბჭოს წევრთა მოსაგებით გასულნი: ვ. ლ. მაჩავარიანის და ილ. ხარაზის მაგიერ; სარევიზიო კომისიის სამის წევრის და მათი კანდიდატებისა. ამ კრებაზე რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერი იქნება. 480 3—3

მომარაგების სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვების სია.

რიცხვი	ნებართვის № №	სერია	ვაგონი	გვარი და სახელი.	საქონელი.
18 თებ.	1195	5	272	ფირშა „ველგრი და ფაბრი.	თმის ტყავი და გოლიანკა.
„	1196	„	224		მელის ტყავი.
19 თებ.	1197	„	221	სააქც. რუსპ. ქალაქთა კავშირის.	ჭიფლის სოლი.
„	1198	„	220		
„	1199	„	226	რთლაძეკა კაზიმირი.	ფოთლოვანი თამბაქო.
„	1200	„	214	ხარლამპოვი სტრაღ.	შაშა.
„	1201	„	215	„ „	„
„	1202	„	216	„ „	„
„	1203	„	217	„ „	„
„	1204	„	218	„ „	„
„	1205	„	219	„ „	„
„	1207	24	1174	გორის რაიონის კ თა კავშირის.	კომბოსტო.
„	1208	„	1178		
„	1209	„	1156	სპ. კოოპ ცენტრ. კავშირის.	სხვა და სხვა საქონელი.
„	1210	5	227	ხარითაშვილი და გრინბერგი.	ხის ნახშირი.
„	1211	„	226	„ „ „	„ „
„	1212	„	225	„ „ „	„ „
„	1213	—	—	ბურცევი ალექსი.	სხვა და სხვა საქონელი.
„	1214	—	—	ბურცევი ივანე.	„ „ „ „
„	1215	—	—	დახილოვი ვასილ.	„ „ „ „
„	1216	—	—	დახილოვი თედორე.	„ „ „ „
„	1217	24	1175	ჭიჭინაძე ნიკო.	გაუთლელი ქვები.
„	1220	„	1163	რობენფელდი მოშე	პალისყარი, ნაპილნიკებ. და ყური.
„	1222	„	1155	შაგანიანკა ალექსანდრე.	სათამაშო კარტი.
„	1224	„	1161	ხელგინიძე გახტანგ.	პაპიროსები.
„	1225	„	1176	ამატუნი და გვიანაროვი.	სალებავი მასალები.
„	1226	21	1033		
„	1227	24	1173	შამბი ოსმაილ მამედოვი.	პაპიროსები, პაპირ. ქალალდი მოშასიები და სხვა.
„	1228	„	1177	ბეჟანიანი გიორგი.	პაპიროსები.
„	1229	5	212	ამერ. დამხმ. კომ. მახლ. აღძრავ.	სხვა და სხვა საქონელი.
„	1230	24	1178	ბოზარჯიანცის თამ. ქარხ.	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
20 თებ	1232	5	234	ი. მ. შმერლინგის ვექილს საულ რაპოპიტს.	ხალიჩები და ფარდაგები.
„	1233	„	231	ი. მ. შმერლინგის ვექილს საულ რაპოპიტს.	„ „
„	1235	24	1194	სომხ. კ-თა კავშ. რწმუნებ.	გაჭეთის ქალალდი.
„	1236	„	1185	ულუიშვილი აარონ.	პაპიროსები.
„	1237	„	1186		
„	1238	„	1187	ანთაძე ალექსი.	
„	1239	„	1179	ანტონიევი ვლადიმერ.	ბავშვის სათამაშოები.
„	1240	„	1182	საქ. სახ. რკ. გზ. სას. კომ.	მაზი, ნემსები და ძაფი.
„	1241	„	1181	ამხანაგობა „აკარ“.	პაპიროსები და თამბაქო.
21 თებ.	1248	„	1164	„ენფიანჯიანც“ თამბ. ქარხანა.	პაპიროსები.
„	1249	„	1153		
„	1250	„	1152	ამბ. „კარლინსკები“.	ცარიელი ტომრები.
„	1251	„	1168	ენფიანჯიანცის“ თამბ. ქარხანა.	პაპიროსები.
„	1252	5	247	სომხ. სამრ. უნივ. წარმომ. დანლაროვი.	საკანცელარიო ნივთები.
„	1254	24	1199	ბუაძე დომენტი.	ძროხა და ხარი.
„	1255	„	1198		
„	1256	„	1197		თხა და ცხვარი.
„	1257	„	1196		
„	1258	„	1195		
„	1259	25	1201	ალი ჰუსეინ ჰუსეინოვი.	პაპიროსის ქალალდი.
„	1260	„	1213	ჯაფაროვი ჯაფარ.	ჩაის ეტიკეტები და ქალალდის პარკები.
„	1261	25	1230	გაგლოევი დავით.	ხე-ტყის მასალა.
„	1262	24	1193		
„	1263	„	1192		
„	1264	„	1191		
„	1265	„	1190		
„	1266	„	1189		
„	1267	„	1188		
„	1269	„	1163	„ბოზარჯიანცის“ თამბ. ქარხ.	პაპიროსები.
„	1270	6	254	მომ. სამ. რწმ. ბაქრაძეს.	ხალიჩები.
„	1271	„	255		სხვა და სხვა საქონელი.
„	1272	24	1164	„ბოზარჯიანცის“ თამბ. ქარხ.	პაპიროსები.
„	1273	„	1183		
„	1274	„	1167		
„	1275	„	1166		
„	1276	„	1165		
„	1277	„	1184		
„	1278	25	1229	ტურაშვილი აბრამ.	კენჭი მარილი.
23 თებ.	1280	„	1202	ადერ. რესპ. შემსყ. კომისიას.	თოვლის საფარი.
„	1281	„	1203	„ „ „	„ „
„	1282	„	1204		
„	1283	24	1180	„ენფენჯიანცის“ თამბ. ქარხ.	პაპიროსები.
„	1284	5	244	ადერ. რესპ. შემსყ. კომიტეტს.	საკანცელარიო ნივთები.
„	1285	„	243		
„	1286	24	1200	„ გაჩეჩილაძე გიორგი.	ფისჭილის ქვა.
„	1288	25	1236	საქ. სახ. რკ. გზ. სას. კომიტ.	ძაფები.
„	1289	„	1234	რიქინაშვილი ისრაელ.	პაპიროსები.
„	1290	„	1235		ღვინო კასრებით.
„	1291	„	1242	ოლენიკოვი ალექსი.	პაპიროსები.
24 თებ.	1293	26	1263	ელუაშვილი იაკობ.	პაპიროსები.
„	1294	„	1264		
„	1295	„	1266		ღვინო კასრებით.
„	1296	„	1265		
„	1297	„	1262	ხარიცოვი კონსტანტინე.	
„	1299	25	1232	„კომეტა“ თამბ. ქარხანა.	პაპიროსები და თამბაქო.
„	1300	„	1233		
„	1301	26	1161	„სეილანოვის“ თამბ. ქარხანა.	„ „ „
„	1302	„	1260		
„	1303	„	1259		
„	1304	„	1258		
„	1305	„	1257		
„	1306	„	1256		
„	1307	„	1255		
„	1308	„	1254		
„	1309	25	1227	ჯინორიძე ალექსანდრე.	ღვინო ბოთლებით.
„	1310	„	1226		დამუშ. თამბაქო.
„	1311	„	1225		
„	1312	„	1224		
„	1313	„	1223		პაპიროსები.

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალეობის აღმასრულებელი გრ. მაჩავარიანი.